ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02/3
CPV79530000 - მთარგმნელობითი მომსახურებები

ქ. თბილისი 21 დეკემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის - მაია სიმონიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „თბილისის ბიზნეს სახლი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნათია სამადაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი
1.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი ფინანსური სახსრებით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მთარგმნელობითი მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულების დანართში მითითებული ტარიფების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.
2.2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს **500.00** (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის საკუთარი ფინანსური სახსრებიდან.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი
მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები
4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 3 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნაში მითითებული ვადების დაცვით.
4.2. მოთხოვნა შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება ელექტრონული ფოსტების საშუალებით: ntodua@emis.ge; reestri@emis.ge ან tkubiashvili@emis.ge მიმწოდებლის შემდეგ ელექტრონულ მისამართზე e.tsirekidze@tbh.ge.
მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება კალენდარული წლის ყოველი კვარტლის შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტით, წინა კვარტალში ეტაპობრივად გაწეული მომსახურების (სიმბოლოების) შეკრებით და ხელშეკრულების დანართში გათვალისწინებული ტარიფების შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირები არიან: რეესტრის წარმოების სამსახურის უფროსი ნინო თოდუა ან/და ფინანსური და ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი თამარ კუბიაშვილი ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2014 წლის 3 იანვრის ბრძანება N1.1/3-ით განსაზღვრული პირი.

6.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევის შესახებ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება;
7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. ყოველდღიურად აკონტროლოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.2 ქვეპუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შემსყიდველის მიერ მიცემული დავალებები.
7.4.2. უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებსა და პირობებით;
7.4.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევა უნაკლოდ, თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
8.5 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

12.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

12.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	**შპს„თბილისისბიზნესსახლი“**
	ს/კ 404482608
ს.კ 205300048;	მის: რუსთაველის გამზ. N14
მის.: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ.1ა	საბანკო რეკვიზიტები:
	სს „საქართველოს ბანკი“
უფროსის მოადგილე	ბ/კ: BAGAGE22
	ა/ა: GE59BG0000000883593700
მაია სიმონიძე	**ნათია სამადაშვილი**
---------- **მ.ა**	---------- **მ.ა**
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული N02/3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების დანართი

#	დასახელება	განზომილება	ტარიფი
1	თარგმნა: ქართული-ინგლისური	1-450 სიმბოლო	3,54 ლარი
2	თარგმნა: ინგლისური-ქართული	1-450 სიმბოლო	3,54 ლარი
3	თარგმნა: ქართული-ინგლისური	451-900 სიმბოლო	5,90 ლარი
4	თარგმნა: ინგლისური-ქართული	451-900 სიმბოლო	5,90 ლარი
5	თარგმნა: ქართული-ინგლისური	901-1350 სიმბოლო	8,85 ლარი
6	თარგმნა: ინგლისური-ქართული	901-1350 სიმბოლო	8,85 ლარი
7	თარგმნა: ქართული-ინგლისური	1351-1800 სიმბოლო	10,62 ლარი
8	თარგმნა: ინგლისური-ქართული	1351-1800 სიმბოლო	10,62 ლარი

სსიპ - განათლების მართვის
საინფორმაციო სისტემა

მაია სიმონიძე

უფროსის მოადგილე

შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“

ნათია სამადაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი